სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N72

ქ. ბათუმი

21 მარტი 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ ინდივიდუალური მეწარმე ალექსანდრე შერვაშიძე (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი:55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელმა აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს - კერძოდ, ჟურნალისტებს უკრაინის რესპუბლიკიდან (სულ 4 პიროვნება), 2018 წლის 24 მარტს უნდა გაუწიოს კვებით მომსახურება, შემდგომში მომსახურება. მომსახურების გაწევა განხორციელდება სოფელ პირველ მაისში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 140 (ასორმოცი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ირაკლი ბარამიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**ი.მ. ალექსანდრე შერვაშიძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ქედა, სოფ.პირველი მაისი
	საიდენტიფიკაციო კოდი: 61008006064 ტელეფონის ნომერი: 593101199
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*სს ,,საქართველოს ბანკი“* *ბანკის კოდი – BAGAGE22* ანგარიში N *GE81BG0000000314209900*
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**ინდ.მეწარმე**
_____/სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____/ალექსანდრე შერვაშიძე/ ბ.ა.